საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 400 მანეთი

№ 42

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული ცოლი ალათი, შვილები მაკარი, ვიქტორი, კოლია, ვასო, შალიკო და ალექსანდრე, რძლები: მინადორა და ნინა ფრუიძეები აუწყებენ თავიანთ ნათესავ და ნაცნობთ საყვარელ მამის

დეკანოზ ნიკოლოზ ფრუიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია 11 ოქტომბერს სოფ. ჭყვიშში ლეჩხუმის მაზრა.

კვირას, ოქტომბრის 9-ს, ტფილისში ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. 13) გაიხსნება

სრულიად საქართველოს მორიგი წლიური მწერალთა ყრილობა

დღიური წეს-რიგი:

1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ.
2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი.
5) „რაბისი“ და მწერალთა კავშირი.
6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია.
7) სამეურნეო საბჭოს დაარსება.
8) მიმდინარე საკითხები.
9) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს საბჭოსაგან მიეცემათ გზის ფული, სადილი და ბინა. ყრილობა გაიხსნება დღის 12 საათზე.

მწერალთა კავშირის საბჭო.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

ყრილობის სამზადისში

პარტიული ყრილობის დრო მოახლოვდა. სულ რაღაც ოციოდე დღე დარჩა მანამდის. ორგანიზაციებს გამოცოცხლება დაეტყო. პროვინცია დიდ ინტერესს იჩენს ყრილობისადმი. ეკითხებიან ცენტრს, თხოულობენ ინსტრუქციებს, თხოულობენ ხალხს, პარტიულ მომუშავეებს.

ზოგჯერ წერილს ვერ მოუღწევია ჩვენამდე და რა კი პასუხი ვერ მიუღია ამხანაგებს, კაცს ჰგზავნიან, რომ გაიგონ, რაშია საქმე, რატომ უყურადღებოდ რჩება ესა თუ ის რაიონი, რატომ ცნობას არ აძლევს ცენტრი, კაცს არ აგზავნის და სხ.

უტყუარია ინტერესის ზრდა ჩვენი პარტიისადმი. მიუხედავად ათასგვარ პირდაპირ გარდაუვალ დაბრკოლებათა, მიუხედავად უსინდისო ჭორებისა და ცილისწამებათა, რომელსაც ასე ურცხვად ავრცელებენ ჩვენზე ჩვენი „ამხანაგები“, ჩვენ მაინც მოვახერხეთ ხალხთან დაახლოვება. სიმართლემ, სწორმა შეხედულებამ თავისი გაიტანა და დღეს ის ხალხი, რომელიც ორი დღეში სასწაულს მოელოდა და მუდამ ამ ორი დღის არგუმენტით გვებრძოდა, დღეს ეს ხალხი ჰგრძნობენ თავიანთ სიკოტრეს და მიმალულნი არიან; უცდიან რაიმე ხელსაყრელ მოვლენას, რაიმე ახალ საყურადღებო ამბავს, პოლონეთის ულტიმატუმის მგზავსს, რომ ისევ თავი წამოჰყონ, ისევ ჭორები შეთხზან და ხალხს კვლავ მესსია მოაგონონ. ისტორიის განაჩენს არ ნებდება ეს ხალხი და ჭორებით იბრძვის მის წინააღმდეგ. ყოველივე ამაზედ ლაპარაკი საჭიროდ მიგვაჩნია დღეს იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ, ჩვენი პარტიული ყრილობა კვლავ აამოძრავებს ამ პატივცემულ პირთ და ამუშავდება ჩვენს წინააღმდეგ მათი რადიო ჭორები. ვაფრთხილებთ ამხანაგებს, არ წამოეგონ ანტანტის მეგობართა ანკესებზე, არ მოსტყუვდენ მათი ყალბი ცნობებით, მათი „ჭკვიანური“ რჩევა-დარიგებით.

საჭიროა დაუცილებელი ენერგიული, გაასკეცებული, დაუღალავი მუშაობა ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში. ვინც ამას ხელს უშლის, ვინც ამ საქმეზე გულს უცრუებს ჩვენ მშრომელ ხალხს, ის ან ჭკვადაკარგულია ან მოღალატე.

პრესა

ოქტომბრის 3 ს განახლდა საქ. სოც.-რევოლ. პარტიის ც. კ—ს ორგანო „შრომა“. თავის მეთაურში გაზეთი სწერს: „კაპიტალის ბატონობის დამხობა და ახალი სოციალისტური წესწყობილებისათვის მტკიცე საფუძვლების ჩაყრა—აი ის მთავარი ამოცანა, რომელიც თანამედროვე ცხოვრებამ წამოგვიყენა. ამ ნიადაგზე ვიდექით ჩვენ დღემდის, ამ ნიადაგზე დავრჩებით მომავალშიაც“.

„ჩვენ ვიცავთ მშრომელთა ხელისუფლებას; მშრომელი ხალხის ნამდვილ ბატონობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეს გვინდა შევწიროთ მთელი ჩვენი ძალღონე“.

საქართველოს დამოუკიდებლობას გაზეთი სამართლიანად ერის ყურადღების ცენტრად სთვლის, ვინაიდან ქართველ მშრომელ ხალხს დამოუკიდებლობა რევოლიუციის უდიდეს მონაპოვრად მიაჩნია და მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეელევა.

„ეროვნულმა მომენტმა თითქმის ყველაფერი დაჩრდილა. ეს აშკარა ფაქტია და თუ ეს არის ნაციონალიზმი, მას სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოთ და შევებრძოლოთ... საქართველოს ფორმალური და ფაქტიური დამოუკიდებლობის მედგარი დაცვითა და განმტკიცებით, სწორად დაასკვნის მოწინავის ავტორი

ქალთა ორგანიზაციის საკითხი

(პასუხი ამხ. კატო მიქელაძეს).

ჩემმა წერილებმა ქალთა ორგანიზაციის საკითხის შესახებ (იხ. „ტრიბუნის“ № 32, 33, 34) გამოიწვია ამხ. კატო მიქელაძის წერილები (იხ. № 38, 39 40) რომელიც სრულიად საწინააღმდეგო საზრისით უდგება ქალთა ორგანიზაციის საკითხს და ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის აუცილებლობას ადასტურებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალთა საკითხი მით უფრო სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, რომ იგი ჩვენში ახალი საკითხია. ამიტომ ფრიად სასიამოვნოა, რომ ქართველ საზოგადოებაში ცნობილმა მოღვაწე ქალმა თავისი აზრი გამოსთქვა ამ საკითხზე.

ყოველი საკითხის გარჩევის დროს, აუცილებელია საკითხის, კვლევის ობიექტის სიღრმისა და [illegible] სიფართოვის განსაზღვრა, რომ არ ავცდეთ მსჯელობის ფარგლებს და იქ არ ვაწვრილმანოთ იგი, სადაც საკითხის გაშუქება ამას არ მოითხოვს. ამიტომ, წინდაწინვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის პიროვნების განხილვა ორი საზრისით შეიძლება. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ პიროვნებას, როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმს, რომლის განმხილველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ პიროვნებას, როგორც სოციალური ორგანიზაციის წევრს, რომლის განმხილველი არის სოციალური მეცნიერებანი. ამის მიხედვით ქალთა საკითხსაც ორი მხარე აქვს. პირველია—ანტროპოლოგიურ-ფსიქოლოგიური, მეორე სოციალ-პოლიტიკური.

როდესაც ქალთა ორგანიზაციის შესახებ გვაქვს ლაპარაკი, ჩვენი მსჯელობა სოციალური აზრით უნდა განვსაზღვროთ და უნდა განვიხილოთ ქალთა მოძრაობის როლი, სოციალური ცხოვრების განვითარებაში.

ქალთა საკითხის სოციალ-პოლიტიკური მხარე და აგრეთვე ქალთა მოძრაობაც, ისეთი რთული და მნიშვნელოვანია, რომ მისი განხილვა გაზეთის ფურცლებზე მთელი თავისი სიღრმე-სიფართოვით შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ამხ. კატო მიქელაძის ყველა უმთავრესი დებულებანი და გამოვააშკარაოთ მათი ბუნება.

ამხ. კატო მიქელაძე თავის წერილის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ვითომც მე ქალთა საკითხი „ამოწურულად“ მიმაჩნდეს, მას შემდეგ, რაც ქალთა სწორუფლებიანობა დაკანონდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ასეთი აზრი არ მოგვსვლია თავში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ქალთა საკითხი არ „ამოიწურება“ არა თუ ქალთა სწორუფლებიანობის გამოცხადებით, არამედ მისი საქმით რეალიზაციითაც კი. ქალთა საკითხი მარადიული პრობლემაა თავისთავად. იგი არ არის „ლუკმა პურის საკითხი“, როგორც მარქსისტებს ჰგონია არამედ მისი ბუნება მრავალი ელემენტების შეერთებით შესდგება და ამიტომაც არის, რომ ქალთა საკითხის გარჩევისათვის მუშაობს, როგორც ანატომიის პროფესორის დანა, ისე ფსიქოლოგიის დაკვირვება, როგორც ანტროპოლოგის ინსტრუმენტები, ისე ფილოსოფოსის აზროვნება, როგორც ესთეტიკის სიმეტრიათა კომბინაცია, ისე სოციალური ცხოვრების მკვლევართა ძიება.

ჩვენ ფემინისტური ისტორიის პატარა ექსკურსიის შემდეგ აღვნიშნეთ, რომ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს არასოდეს არ შეუსრულებია მნიშვნელოვანი როლი და დღეს, როდესაც ქალთა სწორ-უფლებიანობა აღიარებულია, მას არავითარი აზრი არა აქვს.

ჩვენ იმასაც ვწერდით, რომ „პოლიტიკური უფლება მოქმედების ნორმაა, ხოლო ვისაც მოქმედება არ შეუძლია, იმისთვის ეს ნორმა სრულიადაც საჭირო აღარ არის. ამიტომ საჭიროა, რომ ემანსიპაცია ქაღალდზე კი არ იქნეს მხოლოდ დარჩენილი, არამედ მით ისარგებლოს ქალმა, გამოვიდეს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე და აქტიური როლი შეასრულოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

ამის შემდეგ რა უფლება აქვს ამხ. კატო მიქელაძეს მომაწეროს ის აზრი, თითქოს მე „ამოწურულად მიმაჩნდეს ქალთა საკითხი?“

ამხ. კატო მიქელაძეს, ჩემი წერილიდან მოყავს ციტატა რომ „ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები დასაშვები არ არის და იგი გაკვირვებით კითხულობს „რისი მაჩვენებელია ეს სწორუფლებიანობის თუ არა სწორუფლებიანობისა?“

ამხ. კატო მიქელაძემ უნდა იცოდეს რომ ორგანიზაციის სტრუქტურა ერთია და პოლიტიკური სწორ-უფლებიანობა მეორე. ეს ელემენტარი რამ არის.

ამხ. კატო მიქელაძე მეტად აღშფოთებულია. იგი ფიქრობს, რომ ვინც ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის ნიადაგზე სდგას, იგი მომხრეა ქალთა პოლიტიკური სწორ-უფლებიანობის, ხოლო ვინც ასეთი ორგანიზაციის წინააღმდეგია, იგი ამით წინააღმდეგია ქალთა სწორუფლებიანობის. ამხ. კატო მეტად ცხარობს და მახვილ გამოთქმებს მიმართავს, როგორიც არის მაგ. „ს. ამაღლობელის ვეტო“ „ანტიფემინისტობა და თავის შეფარება“, „მამაკაცური გონება“ და სხვა.

მახვილი სიტყვები თავის თავად კარგი რამ არის, როცა მახვილ საფუძველზე ემყარება და მტკიცე არგუმენტაციით არის გამაგრებული. ამიტომ ჩვენ უფრო დიდ ყურადღებას მივაქცევთ არგუმენტაციას.

ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის უარყოფა ქალთა პოლიტიკურ სწორ-უფლებიანობის უარყოფას ნიშნავს თუ არა?

სოციალისტი ქალი ალექსანდრა კოლონტაი თავის მეტად საინტერესო წიგნში, ამტკიცებს ფემინისტური მოძრაობის უსუსურობის, ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციების უაზრობას და ამბობს—„თუ ფემინისტებმა (ქალებმა, რომელნიც დამოუკიდებელი ორგანიზაციის ნიადაგზე დგანან. ს. ა.) ასეთი სიფრთხილით მოახდინეს სოციალისტურ პარტიების „პრომახებისა“ და „შეცდომების“ რეგისტრაცია, რისთვის არ აღნიშნეს ის მონაპოვარიც, რომელიც მიიღო ქალებმა განსაკუთრებით მუშათა კლასის დახმარებით? რისთვის არ აიწყდება მათ ქალთა საქმის წარმატება ფინლიანდიაში და ნორვეგიაში? რისთვის არ აღნიშნავენ ისინი, რომ სოც.-დემ. ბრძოლით დაეცა 1908 წ. გერმანეთში ქალთა დამამცირებელი კანონი, რომელიც მათ უკრძალავდა პოლიტიკურ ორგანიზაციებში მონაწილეობას? *).

მ ესევე ავტორი განაგრძობს „ნუ თუ აშკარა არ არის მათთვისაც (იგულისხმება ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის მომხრენი. ს. ა.) რომ თითონ ქალთა საქმის ინტერესია—არა დაყოფა და გათიშვა პროლეტარიატის ძალების“. **) ხაზი ავტორისაა).

მოუსმინოთ კიდევ სოციალისტ ქალს ლილი ბრაუნს—„მხოლოდ ორივე სქესის შეერთებულ მუშაობას შეუძლიან ჩვენი მიყვანა საბოლოო მიზნამდე—კაპიტალიზმის დამხობამდე და ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებამდე“ ***). (ხაზი ავტორისაა).

ნურც ამით დავკმაყოფილდებით. გიორგი ჩიჩერინს მოყავს ცნობილი სოციალისტი ქალის კლარა ცეტკინას აზრი „კლარა ცეტკინა სპეციალურად მოითხოვს მოზარდ თაობის, როგორც ვაჟების, ისე ქალების, ერთ ორგანიზაციაში მოთავსებას, რომელიც გააქრობს არსებულ ცრუსა და ბარბაროსულ შეხედულებას ქალთა მდგომარეობაზე“****).

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ სოციალისტი ქალის აზრი ქალთა ორგანიზაციების შესახებ, რომელნიც უარყოფენ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს.

კიდევ უნდა მოვაგონოთ ამხ. კატოს, რომ გარდა ცნობილ სოციალისტ ქალებს, ალ. კოლონტაისა, ლილი ბრაუნისა, კლარა ცეტკინისა, ასეთივე აზრის იყვნენ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებზე, როზა ლუქსემბურგი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა მემატიანეს როლში გამომიყვანდა.

ახლა ისეთი ვაჟების აზრიც მოვისმინოთ რომლებიც ცნობილია ქალთა უფლების დამცველად და დიდი სიმპატიები აქვს ქალთა წრეებში. ასეთი გახლავს ბებელი, რომლის წიგნის „დედაკაცი და სოციალიზმის“ ორი მესამედი ქალების ქებათა ქებაა. მათი ხოტბაა, მაგრამ ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციების წინააღმდეგია. ან და რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ ისევ ისა სჯობია თვით ამხ. კატომ დაგვისახელოს ისეთი სოციალისტი, ქალი გინდ ვაჟი, რომელიც ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის ნიადაგზე იდგეს.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ „ს. ამაღლობელის ვეტო“ მიუღებელია. იგი „ანტიფემინისტია“. მისგან „მოწონებულია ვეინინგერი“ იგი ქალების „მტერია“ მაგრამ თუ ის არა ფემინისტია, არა სოციალისტია, არა ქალია კლარა ცეტკინა, ლილი ბრაუნი, ალ. კოლონტაი, ხომ დიდი ფემინისტია, ხომ დიდი სოციალისტია ხომ დიდი ქალი ?

რას იტყვის ამის შესახებ ამხ. კატო მიქელაძე“ ნუ თუ მათ ფემინისტობაში, მათ სოციალისტობაში, მათ ქალობაში, ეჭვი შეეპარება?

(შემდეგი იქნება)

სერ. ამაღლობელი.

ახალი ამბები

— კახეთში საბოლოოდ გამოირკვა ყურძნის მოსავალი. წინანდლის მამულებში მოწეული იქმნა 25,000 ფ., მუკუზანის—20.000 ფ., მანავის 80,000 ფ., კარდანახში—40 000 ფ., ნაფარეულის—1,750 ფ. როგორც ირკვევა ღვინო ძლიერ მაგარი იქნება და საუცხოვო ხარისხის.

— შინა საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნულია სიღნაღის მაზრის მართველობათა რევიზია. რევიზია მინდობილი აქვს სახალხო კომისარიატის საგანგებო რწმუნებულს, რომელიც ამ დღეებში გავა ტფილისიდან.

— სამაზრო სახალხო განათლების განყოფილებამ მოაწყო მოკლე ვადიანი სამასწავლებლო კურსები: ახალ სენაკში, აბაშაში, მარტვილში და ძველ-სენაკში. კურსების მიზანია გააცნოს მასწავლებლებს პრინციპები შრომის სკოლისა. მომხსენებლები არიან ქობულია და კიზირია.

რუსეთი

სახალხო სასურსათო კომისარიატის დამმზადებელი განყოფილების ცნობით სექტემბრის 23 მდე მთელი რ. ს. ფ. ს. რ—ის ტერიტორიაზე უკრაინის გამოკლებით შემოვიდა სასურსათო გადასახადი 23 614 212 ფუთი, სამეურნეო საბჭოებისაგან 484.5463, დაბრუნებულ იქმნა ნასესხები სათესლე—4.613.455 ფ.; კიდევ სხვა შემოსავალი 2 821.823 ფ., სულ 31.534 392 ფ ამ ჯამიდან მწარმოებელ გუბერნიებს უდევს 17.364.589 ფ., ციმბირელებს—12.751.664, კავკასიას 1.267.259 ფუთი და ყირიმს—97.931 ფუთი.

კართოფილის დამზადება. ნამდვილ ცნობებით სექტემბრის 23 ს მთელს რ. ს. ფ. ს. რ—ის ტერიტორიაზე მოკრებილ იქმნა (გარდა უკრაინისა) სასურსათო გადასახადის სახით 4 234 969 ფუთი, საქონლის გაცვლით—78.577 ფ. სამეურნეო საბჭოებისაგან—9.127 ფ. დაბრუნებული სესხი—69.012 ფუთი და სხვა შემოსავალიც—52,356 ფუთი. სულ 4 444 041. გადმოტვირთულია სექტემბრის 23-დე 2.870 ვაგონი. (მოსკოვის „პრავდა“ № 213)

უცხოეთი

ლონდონი. 6 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მდგომარეობა ინდოეთში ძლიერ გართულებულია. აჯანყებული მუსულმანები ვითომც ძალადობას ხმარობენ ადგილობრივ ელემენტებზე და აიძულებენ მუსულმანობის მიღებას.

პარიზი. 5 ოქტ. გაზეთ „ჰუმანიტე“ ამტკიცებს, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი გერმანიის შესახებ იმყოფება გარდატეხის პერიოდში. სასტიკი მტრობა ადგილს უთმობს შეგნებას საურთიერთო სარგებლისა და ეკონომიურ დამოკიდებულებათა აღდგენის მთელ აუცილებლობის გაგებას.

კოპენჰაგენი. 5 ოქტ. უკანასკნელ არჩევნებზე შვეციაში სოციალისტებმა მოიგეს კონსერვატორებისა და ლიბერალებისაგან 17 ადგილი. ამ რიგად 230 ადგილიდან პარლამენტში სოციალისტებს ეკუთვნით 90.

მოსკოვი. 7 ოქტ. ნორვეგიამ დაადგინა მისცეს კრედიტი საბჭოთა რუსეთს 1 მილიონ ნახევარი კრონი, სურსათ-სანოვაგის შესასყიდლად.

რომი. 6 ოქტ. ოქტომბრის ხუთს კაპიტოლიაში გაიხსნა კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დელა ტორენტამ კონგრესის გახსნისას სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც იმედი გამოსთქვა, რომ კულტურული მუშაობა გააერთიანებს ნაციებს.

რომი. 5 ოქტ. ერთა ლიგის უკანასკნელ სხდომაზე მოიწონეს ინგლისის წარმომადგენლის მოხსენება ალბანიის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. ერთა ლიგის საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ ელჩთა კონფერენციამ სასწრაფო წესით გამოარკვიოს ალბანიის

---

*) А. Коллонтай „Соціальные основы женскаго вопроса“ стр. 430.

**) ibid стр. 431.

***) Лили Браунъ „Женщина и политика“ стр. 64.

****) Г. Чичерин „Очерки из истории юношескаго Интернационала“ стр. 48.

საზღვრები და უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი. ამ ეე დროს გადაწყდა გაიგზავნოს ალბანიაში განსაკუთრებული კომისია ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობად და ალბანისა და სერბიას შორის ურთიერთობის გამოსარკვევათ.

მოსკოვი, 7 ოქტ. საზღვარ გარეთ მცხოვრები კერენსკი, როგორც პარიზიდან იტყობინებიან, ურჩევს უარი უთხრან დახმარებაში რუსეთის დამშეულ მცხოვრებთ. ამ გზით ის ჰფიქრობს მიაღწიოს საბჭოთა ძალაუფლების მოსპობას,

ნაუენი. ბრიტანეთის ზემო სილეზიის საპლებისციტო პოლიციამ, ბილოვიცის ახლოს დაატუსაღა რამოდენიმე პოლონელი, რომელთაც სურდათ ზემოსილეზიის საზღვარზე გადმოეტანათ პოლონური საავიტაციო ლიტერატურა.

ნაუენი. ლეიპციგის სახელმწიფო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა დაადგინა, დაატყვევოს გენ. ლიტუიცი, პოლკ. ბაუერი, კაპ. ერხარდი. მაიორი ნაბოტი და სხვ. რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ უკანასკნელი წლების აჯანყებაში. გერმანიის მთავრობამ ამ პირთა დასატყვევებლად გადასდვა „50.000 მარკა.

როსტოვი. საფრანგეთის კომუნისტურმა გაზეთებმა შეაგროვეს დამშეულთა სასარგებლოდ 400 000 ფრანკი. პარიზის პროლეტარული დამხმარე კომიტეტი აგზავნის რუსეთში ,გემს სურსათ სანოვაგით.

პეტროგრადი. გუვერის მოწოდებას ტანსაცმლის შეგროვების შესახებ რუსეთის ბავშვებისათვის, ამერიკის საზოგადოება ძლიერი თანაგრძნობით შეხვდა. შეგროვილია და „გასაგზავნათ დამზადებულია ბავშვებისათვის მრავალი ტანსაცმელი.

საერთაშორისო პროლეტარიატი დამშეულთა დახმარებისათვის.

როცა გერმანიაში მოვიდა პირველი ცნობები ვოლგის რაიონებისა მოუსავლიობაზე და აგრეთვე ხილერის ეპიდემიის საშინელებაზე, ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტური პარტიისა დაუყოვნებლივ მიმართა ც. კ. სოციალ-დემოკრატიული პარტიისას, დამოუკიდებელთ და მთელი გერმანიის შეკავშირებულ პროფკავშირებს, რათა დაუყოვნებლივ მოეწყობილიყო შეერთებული სხდომა დამშეულთა დახმარების ორგანიზაციის შესახებ. სოციალ.დემოკრატიის ც. კ. და საერთო გერმანიის შეკავშირებულმა პროფკავშირებმა უარი განაცხადეს ამ გვარ სხდომაზე მონაწილეობის მიღებისა, ვინაიდან ისინი ვითომდა საკითხს უყურებენ წმინდა ჰუმანიტარული „თვალსაზრისით" და ამიტომ როგორც პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას ვერ მიიღებენ დამშეულთა საკითხის მოგვარებაში. ც. კ. კომუნისტური პარტიისა შეეცადა შეთანხმებაში დამოუკიდებლებთან ამ გვარათ, რომ თვითეული პარტია დამოუკიდებლად მოუწოდებენ თავიანთ წევრებს დახმარებაში მონაწილეობის მიღებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ, როცა შეიკრიბება დიდი თანხა, ორივე ც. კომიტეტები შეერთებულად გადაწყვეტენ საკითხს, „თუ როგორ გამოიყენონ იგი დამშეულთათვის. ამასთანავე გადაწყვეტილია მიეღოთ ზომები ვაიძულოთ მაინც სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია რეიხსტაგში დამოუკიდებლებთან კომუნისტებთან ერთად მოახდინოს გავლენა მთავრობაზე იმ გვარად, რომ უკანასკნელმა მიანიჭოს ყოველივე პრივილეგიები რუსეთის ტრანსპორტს და დააწიოს ფასები, რომლითაც შეიძლება შესყიდულ იქმნას საჭირო საქონელი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გავლენიანი ზომების წყალობით მუშათა შორის, ც. კ. სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთელი გერმანიის შეკავშირებული მუშათა პროფ. კავშირები იძულებული იყო უარი ეთქვათ ადრინდელ თავშეკავებაზე „წმინდა ჰუმანიტარულ საქმეში", და მიემართა მოწოდებით მუშებისათვის დამშეულთა დასახმარებლად. მაგრამ უკანასკნელმა ორმა ორგანიზაციამ თავი მოუყარა მოკრებილ დახმარებას მეორე ინტერნაციონალში (ამსტერდამის) და გარკვევით გამოსთქვამდნენ განზრახვას ფულის გაცემის დროს დამშეულთათვის, რომ დაუყენონ საბჭოთა მთავრობას პირობა, რომ მან თავის რევოლიუციონურ ბრძოლის დროს შეიწყნაროს მენშევიკებისა და ესერების დევნა. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ იმ წამსვე მოუწოდა პროფესიონალურ მუშებს ამგვარი განზრახვის საწინააღმდეგოთ და გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია იძულებული იყო უარი ეთქვა თავის განზრახვაზე. ამ სხვა და სხვაობამ შეაჩერა საქმე დახმარების შეკრების ცენტრალიზაციისა... (მოსკ. „პრავდა" № 43).

დეკრეტი № 75.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა სააქციზო გადასახადის შესახებ.

სააქციზო წესდებისა და მის დამატებათა სათანადო მუხლების შესაცვლელად, დასამატებლად და გასაუქმებლად—დადგენილ იქნეს შემდეგი:

1. გაუქმებულ იქნეს შაქრის (რაფინადი და ქვიშილი), კეროსინისა და ნავთის სხვა პროდუქტების სააქციზო გადასახადი.
2. გაუქმდეს ფუთოლ-თამბაქოს სახელმწიფო მონოპოლია.
3. გაუქმდეს ფუთოლ თამბაქოს საფუთო გადასახადი.
4. გაუქმდეს თამბაქოს ნაწარმოების სატარიფო სისტემა აქციზის გადასახადისა და სამაგიეროდ შემოღებულ იქნეს თამბაქოს დამზადებულ ნაწარმოებისათვის საფუთო გადასახადი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს ამ ნაწარმოების ფაბრიკიდან გამოშვების დროს.
5. შემოღებულ იქნეს,—თამბაქოს ნაწარმოების სხვა და სხვა ხარისხისათვის არსებული ბანდეროლების ნაცვლად,—ორგვარი უფასო ბანდეროლი: პაპიროსის და მოსაწევი თამბაქოსათვის.
6. გადიდებულ იქნეს, თანახმად ამასთანავე დართული განაწერისა და სატარიფო ცხრილისა—აქციზი და საპატენტო (ძირითადი და დამატებითი) გადასახადი ყოველი,—აქციზ დასადები,—საქონლის წარმოებისა და ვაჭრობისათვის.
7. შემოღებულ იქნეს აქციზი ადგილობრივი წარმოების (ხოლო არა მოცვის) ჩაისათვის.
8. ქ. ქ. ტფილისისა, ქუთაისისა, ბათომისა და ფოთისათვის არსებული წესი ღვინის აღრიცხვისა—სააქციზო გადასახადის ასაღებად — გავრცელებულ იქნეს საქართველოს სხვა ქალაქებზედაც.
9. დაწესდეს ერთდროული სააქციზო გადასახადი ღვინის სავაჭროებისათვის საქართველოს ყველა, ქალაქ-გარე ადგილებში იმ პირობით, რომ გადასახადი ესე გადებულ იქნეს წინდაწინვე პატენტის აღების დროს, თანახმად ამასთანავე დართული განაწერისა.
10. დაწესებულ იქმნეს კონიაკის სიმაგრე ორმოც (40) გრადუსზე არა ნაკლები.
11. ყურძნისა და ხილის მასალისაგან ნორმულ ქარხნებში გამონახად სპირტის გაყიდვა და გამოშვება, საჭირო დოკუმენტების მიხედვითა და აქციზის წინდაწინვე გადახდით,—შეიძლება მხოლოდ საბითუმო საწყობებისა და სარექტიფიკაციო ქარხნებისათვის, სადაც სპირტი ინახება სააქციზო ზედამხედველობით და იხარჯება სათანადო ხელისუფალთა განსაკუთრებული ნებართვის თანახმად.
12. კონიაკის და კონიაკის სპირტის გაყიდვა და გამოშვება კონიაკის სპეციალური ქარხნებიდან შეიძლება სათანადო საბუთებით, მხოლოდ კონიაკის საბითუმო საწყობებისათვის, სადაც სპირტი ინახება სააქციზო ზედამხედველობით და იხარჯება სათანადო ხელისუფალთა განსაკუთრებული ნებართვის თანახმად.
13. სააქციზო გადასახადის განაკვეთი, თანახმად არსებული პროპორციული პროცენტული სააქციზო გადასახადის კანონისა, გადასინჯულ და შეცვლილ იქნება ფინანსთა კომისრის მიერ არა ადრე ორი თვის ვადისა.
14. სახელმწიფო მამულებსა და ნაციონალიზაციაქმნილ წარმოებაში, თუ იჯარით არ არის ისინი გაცემული, სააქციზო გადასახადის ანგარიში უნდა სწარმოებდეს მხოლოდ საბუღალტრო წესით.
15. არაპირდაპირი გადასახადთა გამგებლობა ევალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. არაპირდაპირ გადასახადთა სამმართველოს.
16. მაგარ სასმელთა შესახებ არსებული წესდების 1151 მუხ. 1 შენიშვნა და 1228 მუხ. 11 შენიშვნა გაუქმდეს. 1228 მუხლის მეორე ნაწილი გავრცელდეს არა პირდაპირ გადასახადთა სამმართველოს ყველა მოსამსახურეზე, ამასთანავე ზემოხსენებული 1151 და 1228 მუხლები შეფარდებულ იქმნეს იმ შემთხვევებისათვისაც, როდესაც წესდების დარღვევის აღმოჩენა შეეხება სხვა,—აქციზ-დასადებ, საგნებსაც. გამოაშკარავებისათვის ჯილდოს განაწილების წესს დაადგენს ფინანსთა კომისარი.
17. ფინანსთა კომისარს ეძლევა უფლება გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები ამ დეკრეტის განსახორციელებლად.
18. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.
ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხადარიძე.
1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი-სასახლე.

განცდა

(გ. ქურიშვილს)

მასულდგმულებს მარადის,
განცდა უმწვერვალესი:
სიყვარული ციური—
სილამაზის ალერსი!..

—

ფიქრი დაუსაბამო,
ბრძოლის ცეცხლში ნალესი;
მღელვარება ზღვაური
მუზა უზენაესი,....

ა. კულაშვილი.

№ 75 წის დეკრეტის
მე 6 მუხ. დანართი.

განაწერი.
საპატენტო გადასახადისა.

I.

თამბაქოს პატენტი.

1). ადგილობრივ და საზღვარ გარეთიდან შემოსულ ფუთოლ თამბაქოს საბითუმო საწყობებისათვის:
ა) ტფილისში . . 500,000 მან.
ბ) დანარჩენ ადგილებში 250,000 მან.

2). თამბაქოს ფაბრიკებისათვის:
ა) ძირითადი 1000 ფუთი თამბაქოს გადამუშავებისათვის ყველგან . . . 1,000,000 მან.
ბ) დამატებითი ყოველ შემდეგ 1000 ფუთზე 500,000 მან.

3). წეკოს ფაბრიკებისათვის:
ა) ძირითადი 1000 ფუთზე 150,000 მან.
ბ) დამატებითი ყოველ შემდეგ 1000 ფუთზე. 100,000 მან.

შენიშვნა: 1000 ფუთზე ნაკლები თამბაქოს და წეკოს რაოდენობა ჩაითვლება 10000 ფუთად.

4). თამბაქოს ნაწარმოებ ს ადგილობრივ ვაჭრობისათვის:
ა) ტფილისში და ბათომში 500,000 მან.
ბ) ქუთაისში და ფოთში 300.000 მან,
გ) დანარჩენ ადგილებში 150.000 მან.
დ) თამბაქოს ნაწარმოების ვაჭრობა დამტარებლების მიერ 50,000 მან.

II.

1). პაპიროსის გილზისა და პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკებისათვის:
ა) გილზის ფაბრიკებისათვის პირველ 5 მილიონ გილზზე 250.000 მან.
ბ) დამატებითი ყოველ შემდეგ 1 მილიონზე . . 50,000 მან.

2. პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკებისათვის:
ა) პირველ 5 მილიონ ფურცელზე 100,000 მან.
ბ) დამატებითი ყოველ შემდეგ თითო მილიონზე 20,000 მან

შენიშვნა: გილზისა და პაპიროსის ქაღალდის რაოდენობა 5 მილიონზე ნაკლები ჩაითვლება 5 მილიონად, და რაოდენობა 5 მილიონზე მეტი, მაგრამ 1 მილიონზე ნაკლები ჩაითვლება მილიონად.

III.

1). ასანთის ფაბრიკებისათვის:
ა) პირველ 1 მილიონ კოლოფზე (არა უმეტეს 85 ცალ.) 1,000,000 მან.
ბ) დამატებით ყოველ შემდეგ 1 მილიონად. 500,000 მან.

შენიშვნა: კოლოფების რაოდენობა 1 მილიონზე ნაკლები ჩაითვლება 1 მილიონად.

IV.

საკონიაკო და სპირტის დამწმენდი ქარხანებისათვის.

1). სპირტის სარექტიფიკაციო ქარხნებისათვის:
ა) ძირითადი 500,000 გრ. დაწმენდილი სპირტისათვის 500,000 მან.
ბ) დამატებითი ყოველ შემდეგ 500,000 გრ. . 250,000 მან.

2). პურეულის სპირტის სახდელი ქარხნებისათვის:
ა) ძირითადი 500,000 გრ. 1,000,000 მან.
ბ) დამატებითი შემდეგ 500,000 გრ. . . . . 500,000 მან.

შენიშვნა: გამოხდილი და დაწმენდილი სპირტის რაოდენობა 500,000 გრ. ნაკლები ჩაითვლება 500,000 გრ. ხოლო პირველ 500,000 გრადუსის შემდეგ გამოხდილი 500,000 გრ. ნაკლები ჩაითვლება 500,000 გრადუსად.

3). საკონიაკო ქარხნებისათვის ყველგან . . . 500,000 მან.
4). ხილეულის სპირტის სახდელ ქარხნებისათვის საკონტროლო იარაღით ყველგან . . 250.000 მან.
5). იმავე ქარხნებისათვის უსაკონტროლო იარაღისოდ ნორმულ ქარხნებისათვის . . 35,000 მან.
6). არყის ქარხნებისათვის ყველგან 1,000,000 მან.
7). ლუდის სახდელი ქარხნებისათვის.
ა). ძირითადი პირველ 1000 ფუთ ალაოზე . . 1,000 000 მან.
ბ). დამატებითი ყოველ შემდეგ 1000 ფუთ ალაოზე 500.000 მან.

V.

1). არაყისა, სპირტისა და კონიაკის საბითუმო საწყობებისათვის:
ა) ტფილისში და ბათომში 1.000,000 მან.
ბ) დანარჩენ ადგილებში 500,000 მან.

VI.

1). ღვინისა და ლუდის საბითუმო საწყობებისათვის:
ა) ტფილისში და ბათომში 500,000 მან.
ბ) ქუთაისში და ფოთში 250.000 მან.
გ) დანარჩენ ადგილებში 100,000 მან.

VII.

1). მაგარ სასმელების სავაჭრო სარდაფებში:
ა) ტფილისში და ბათომში 500,000 მან.
ბ) ქუთაისსა და ფოთში 250,000 მან.
გ) დანარჩენ ადგილებში 100,000 მან.

VIII.

1). ღვინის სარდაფებისათვის.
ა) ტფილისში და ბათომში 800,000 მან.
ბ) დანარჩენ ადგილებში 300,000 მან.

IX.

1). ღვინის დუქნებში (მაღაზიებში).
ა) ტფილისში და ბათომში 150,000 მან.
ბ) დანარჩენ ადგილებში 100,000 მან.

X.

1). სასადილოებსა, ბუფეტებსა (გარდა თეატრისა და ცირკისა) და ყველა იმ ადგილებში, სადაც ნებადართულია ღვინისა და მაგარ სასმელების იქვე დალევა.
ა) ტფილისში, ბათომში და რკინის გზის ყველა სადგურებში 300,000 მან.
ბ) ქუთაისსა და ფოთში 200,000 მან.
გ) ყველა დანარჩენ ადგილებში 150,000 მან.

XI.

1). თეატრისა და ცირკის ბუფეტში:
ა) ტფილისსა და ბათომში 100,000 მან,
ბ) დანარჩენ ადგილებში 50,000 მან.

XII

1). ლუდის დუქნებში:
ა) ტფილისსა და ბათომში 100.000 მან.
ბ) დანარჩენ ადგილებში 50,000 მან.

XIII.

1). ბუფეტში, რომელიც გაიხსნება მოკლე ხნით ბაზრობისა ან გამოფენის დროს ყველგან დღეში 10,000 მან.

შენიშვნა: საზაფხულო ადგილებში ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებადართვით, შეიძლება მაგარი სასმელის ვაჭრობა ნახევარი წლის პატენტით მაისის 1-დან ოქტომბრის 1-მდე.

შენიშვნა II: საქველმოქმედო საზოგადოება სხვა და სხვა გასართობის საქველმოქმედო მიზნით გამართვის დროს, მაგრამ სასმელის ვაჭრობისათვის საპატენტო გადასახადს არ გაიღებს, უკეთუ ბუფეტი არ გადაეცა კერძო პირს.

შენიშვნა III: ფინანსთა კომისარს უფლება ეძლევა ესა თუ ის ადგილი, ამა თუ იმ ხარისხს მიაკუთვნოს საპატენტო გადასახადის შემცირებისა ან გადიდების მიზნით.

შენიშვნა IV [illegible] დები მაგარი სასმელების ყოველ [illegible] [illegible]

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.
ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე.
ბ. ბიბინეიშვილი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი.
ალ. ხადარიძე.
1921 წ. ოქტომბრის „7"
ტფილისი სასახლე.

ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდების გამო.

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია".
ქართ. ანდაზა.

გაქცეულ მენშევიკთა ლიდერები არა სცხრებიან. ქართულ გაზეთის ფურცლებზე ამ დღეებში გადმობეჭდილია ჟორდანია ჩხეიძის მოწოდება, დასავლეთ ევროპის ხალხისადმი მიმართული. მოწოდება შესდგება უმთავრესად ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი დახასიათდება მით, რომ ჟორდანია-ჩხეიძე აღუწერს დასავლეთ ევროპის ხალხს საქართველოს ეკონომიურად გაკოტრებას, უმწეო მდგომარეობას.

მოწოდებაში აღნიშნულია: სიმშილი, სიცივე, თვითმკვლელობა დედებისა *) და მრავალი სხვა. ყოველივე გაჭირვებას, ყოველივე უბედურებას, მოწოდება ხსნის საქართველოში არსებულ ხელისუფლებით და არ სურთ ჟორდანია-ჩხეიძეს რასაკვირველია მხედველობაში მიიღონ თუ მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა რა მდგომარეობაში ჩააყენა ყველა მებრძოლი სახელმწიფონი და მათ შორის საქართველოც და ჟორდანია-ჩხეიძე მიმართავენ დასავლეთ ევროპის ხალხს, რათა დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სურსათ-სანოვაგით. მეორე ნაწილი კი წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა. ჟორდანია-ჩხეიძე მოუწოდებს ამასთანავე საქართველოში არსებულ ხელისუფლების დამხობას.

ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდება, რათა დაეხმარონ ქართველ ხალხს სურსათ-სანოვაგით არ არის გულწრფელი, ვინაიდან აშკარაა, რომ იმათი ქართველ ხალხის სურსათ-სანოვაგით დახმარებას ხვევენ პოლიტიკურ მანტიაში, რაშია საქმე? თუ მართლადაც მათ ქართველი გაჭირვებულ ხალხის დახმარება სურთ, რა საჭიროა აქ პოლიტიკური ანგარიშები? აი სწორედ აქ მართლდება მათზე ქართული ანდაზა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო". აი ამ მოწოდებით კიდევ ერთხელ გამოაშკარავეს მენშევიკებმა თავიანთი პოლიტიკა—ევროპიდან.

ჩვენ ვიცით; რომ მენშევიკები საერთოდ პარტიას მაღლა აყენებენ საქართველოზე. საქართველო, ქართველი ხალხი, მათ სწამთ, იმდენად, რამდენად საქართველოში ბატონობს მათი პარტია. გარეშე თავიანთი პარტიისა, საქართველო, ქართველი ხალხი, მათთვის არ არსებობს, არ აინტერესებთ და არც ზრუნავენ მათ საკეთილდღეოდ და ეს პოლიტიკა მათ დღესაც დაადასტურეს თავიანთი მოწოდებით.

ევროპას უგზავნიან „დაეხმარეთ-სურსათ სანოვაგით ქართველ ხალხს და ამასთანავე არ ავიწყდებათ მეორე მცნებას პირობას: „დაამხეთ იქ არსებული ხელისუფლებაო". ვიდამ განაგოს ქართველი ხალხისა ბედ-იღბალი? „მენშევიკებმა, ესე იგი: თუ გვეპატრონებით საქართველოში მენშევიკებს, დაეხმარეთ ქართველ ხალხს სურსათ-სანოვაგით თუ არა და არა".

ასეთია უმთავრესად, ჟორდანია ჩხეიძის მოწოდება მიმართული დასავლეთ ევროპის ხალხისადმი. რა. ბ-ნო მენშევიკებო, ნუ სწუხდებით. თქვენ დიდი ხანია გაცნოთ ქართველმა მშრომელმა ხალხმა, აგერ უკვე ალდო მით და კიდევ ვეღარ მოატყუებთ. ქართველი მშრომელი თუმცა განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას, მაგრამ ისიც შეგნებული აქვს თუ რისი ბრალია ესა. და დღევანდელ შექმნილი პირობები, მდგომარეობა, საშუალებას აძლევს ქართველ მშრომელს, მოითმინოს ყოველივე გაჭირვება დროებით, გადალახოს ყოველივე დაბრკოლება, რათა შეერთებული, გაკაჟებული, გარკინებული ენერგიით შევიდეს იმ უკვე მოახლოვებულ ბედნიერების სამეფოში, რომელსაც ეწოდება „სოციალიზმი".

გრ. ფურცელაძე.

---

*) მენშევიკების ტყუილებს ალბად საზღვარი აღარა აქვს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცრ. მთავარი კომიტეტი.